პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 90
(11 751)

21 – 24 ნოემბერი, 2003 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თქვენ რას ფიქრობთ? გამოხმაურება

## „...თუ გამორჩევით მქმნელია“ ფრთხილად, პოლიტიკოსებო!

ყურადღებით ვეცნობი დისკუსიას, რომელიც თქვენმა გაზეთმა წამოიწყო. მე ასე ვფიქრობ: გადადეთ ახლა ყველაფერი გვერდზე და თუ რამ სახსრები გაგვაჩნია, მოახმარეთ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს, ჩაატარეთ შეკრებები, რომ სალიცენზიო ტურნირებში წარმატებით იასპარეზონ ჩვენმა სპორტსმენებმა. ისე, ნამდვილად გაოცებული ვარ ჩვენი სპორტსმენების, მწვრთნელების, სპორტის მუშაკების შემართებით, ასეთ მძიმე ვითარებაში კიდევ რომ ახერხებენ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საქართველოს სახელის განდიდებას.

პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ გამაოცა პოლიტიკოსთა ერთი ფრთის ყოვლად გაუმართლებელმა დამოკიდებულებამ ბატონ ბადრი პატარკაციშვილისადმი. რამდენადაც ვიცი, ამ კაცმა ბევრი კარგი რამ გააკეთა და აკეთებს. იციან თუ არა იმ „კრიტიკოსებმა“, რა თანხას ხარჯავს ქართულ სპორტზე, კერძოდ, ოლიმპიურ სპორტზე ეს ქველმოქმედი კაცი? თუ არ იციან, უნდა ვუთხრათ, გავაგებინოთ. ასეთი ხალხიც თუ მოვიძულეთ და ვაიძულეთ ზურგი შეგვაქციოს, მაშინ მთლად დაიღუპება საქმე. მესმის „კრიტიკოსები“ სხვა გზას რომ გვიჩვენებდნენ. უმადურობა, აბა სხვა რა უნდა ვუწოდოთ, როცა უპოვარს ლუკმას აწვდიან, ვილაც კი უკიჟინებს, არა, ხელი არ ახლოო. მაშინ კეთილი ინებოს, თავად გაიღოს და მიაწოდოს.

**კონსტანტინე მარტაშვილი,**
ქართული სპორტის სტაჟიანი ქომაგი, თბილისი.

ნომერშია:




- ვინ შემოსავს ნაკრებს?
- პლატინის წერილი მერაბ ჟორდანიას
- ქიში ხულიგნობას
- ვიქტორ პანიუკოვი – 75
- ინძაგი ასე მიიჩნევს...
- მონტოია „მაკლარენში“ გადავა
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი







## მედლებით დახუნძლულები...

გერმანიის ქალაქ კიოლნში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი წყალში ხტომაში 12 ქვეყნის 600-მდე სპორტსმენის მონაწილეობით. საქართველოდან შეჯიბრში ცხრა მოზარდი გამოდიოდა (6 გოგონა და 3 ჭაბუკი). 5 ასაკობრივ ჯგუფში ქართველმა მხტომელებმა 9 ოქრო და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს (სულ ტურნირზე 16 ოქროს მედალი გათამაშდა).



გაგაცნობთ გამარჯვებულებს: უმცროს ასაკში ოქროს მედალი თეონა ყაჭეშვილმა დაიმსახურა. 10-11-წლიანებში ჯესიკა მელიქოვას „ბრინჯაო“ ხვდა წილად. 12-13-წლიანებში ჯგუფური პირველი ადგილი ნინო ყვავაძემ, სალომე ჯულელმა და სოფიკო ხუციშვილმა დაისაკუთრეს. 14-წლიანებში და უფროსებში გამარჯვებულები არიან ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი და გიორგი გევორქიანი. სინქრონულ ხტომაში პირველობა არავის დაუთმეს ნინო ყვავაძისა და სალომე ჯულელის წყვილმა.



ოქროს მედლების გარდა ქართველმა წყალმხტომელებმა 5 თასი დაიმსახურეს. ამ დიდი გამარჯვების შემოქმედნი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მამა-შვილი ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები არიან. ბავშვები მათი ხელმძღვანელობით „ლაგუნავერეში“ ვარჯიშობენ, ვინაიდან ვაკის დახურული აუზი თბილისში არ მუშაობს. მხოლოდ ნახევარწლიანი მეცადინეობით შეძლეს მწვრთნელებმა და მათმა შეგირდებმა საერთაშორისო სარბიელზე სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვება. საერთო ჯამში ოქროს 18, ვერცხლის ორი და ხუთი ბრინჯაოს ჯილდო შესძინეს თავიანთ წლევანდელ მონაგარს ჩვენმა წყალმხტომელებმა.

**ლაშა გოგია**

## მილოცვა

### ბატონ იმედო ფხაკაძეს

ბატონო იმედო,

ყოველთვის სასიამოვნოა თქვენნაირი დღვაწლმოსილი სპორტსმენისა და საუკეთესო ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებული პიროვნებისთვის საჯაროდ შეხმიანება. მით უფრო, რომ ამჟამად [illegible] ქვეყნის [illegible] ამის საბაბს მაძლევს თქვენი დაბადების დღე.

ქართულ სპორტში, კერძოდ, ხელბურთში, თანაგუნდელებთან ერთად თქვენ ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანეთ საქართველოს. მაღალი, დახვეწილი ოსტატობით აღაფრთოვანებდით მაყურებელს, სსრ კავშირის პირველი ჩემპიონობა თქვენ და თქვენს თანაგუნდელებს გხვდათ წილად, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრეთ ადგილი ხელბურთის ისტორიაში. ორი წლის შემდეგ, 1964 წელს კვლავ გაიმეორეთ ეს წარმატება თბილისის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში. თქვენი თაობის მაგალითზე აღიზარდნენ მაღალი რანგის ოსტატები, რომლებმაც წარმატებით გააგრძელეს საამაყო ტრადიციები. თქვენ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეთ ცხოვრების სარბიელზეც. ათეული წლებია თავდადებით ემსახურებით ქართულ სპორტს საქართველოს განათლების სისტემაში.

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გეხვევით დიდი სიყვარულით.

ღრმა პატივისცემით,

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## ფიქრები ქართულ სპორტზე

ამ წერილით, უპირველესად, მინდა შევეხმიანო იმ ადამიანთა დიდ არმიას, რომელთა დღენიადაგ საზრუნავი ქართული სპორტია. ესენი არიან სპორტსმენები, მათი მწვრთნელები, ფუნქციონერები, ბიზნესმენები, გულშემატკივრები... ცნება „ქართული სპორტი“ ზოგადი და ტევადია. ამ ტერმინის დამკვიდრება კი თავისთავად არ მოსულა. მისი ფესვები ძალიან შორს მიდის და ღრმადაა გამჯდარი ეროვნულ წიაღში, ქართველი კაცის გენში. თანამედროვე სპორტის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ადვილად დავინახავთ, რომ სპორტმა თავის ორბიტაში მსოფლიო მოაქცია ოლიმპიური იდეალების აღორძინების წყალობით და ეს ისტორია მხოლოდ საუკუნეზე ოდნავ მეტს მოიცავს.

ჩვენნაირი პატარა ერებისთვის სპორტი, – ფართო გაგებით ფიზიკური სრულყოფის ხალხური სისტემები, დაფუძნებული იყო თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობასთან, ფიზიკური განადგურებისაგან მტერთაგან თავის დასაცავად და სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმ ერებში, ვის ყოფაშიც ეს ფენომენი თაობიდან თაობაში გადადიოდა, თანამედროვე სპორტს ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ჩვენც ასეთ ერთა შორის ვართ.

ქართული სპორტი ძალას ნაბიჯ-ნაბიჯ იკრებდა, მასში ნივთდებოდა ტრადიციები, ეროვნული ენერგია, ყველაფერი საუკეთესო, რაც ოდითგან მოსდგამს ჩვენს გმირ ხალხს.

XX საუკუნე მოკლედ შევაჯამოთ. ეს ჩვენი ისტორიის ის ხანაა, როცა საუკეთესო ეროვნული თვისებები განივთდა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, ცხადია, სპორტშიც. იმ თავდადებამ, რაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა გამოავლინეს, კიდევ უფრო გაალრმავეს შემდგომმა თაობებმა. თავის გამოჩენის დიდ სარბიელად კი იქცა ოლიმპიური თამაშები. 1952 წლიდან დაიწყო ათვლის ახალი წერტილი. იმ წელს, ჰელსინკში გამართულ XV ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნიდან გამოდიოდა 14 ათლეტი. თითოეული მათგანის გამოსვლას შეიძლება მიესადაგოს მრავლისმთქმელი სიტყვა – პირველი. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ პირველები, არამედ... პირველი ჩემპიონი, პირველი პრიზიორი, პირველი ქალი, პირველი წარმომადგენელი საქართველოდან სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და ა.შ.

უდავოდ დიდ სტიმულად იქცა ქართული სპორტისთვის ოლიმპიური თამაშები საერთოდ. გასულ საუკუნეში მივწვდით უმაღლეს მწვერვალებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, თასების გათამაშებაში და არა მხოლოდ ოლიმპიურ, არამედ არაოლიმპიურ სპორტის სახეობებში.

ცხოვრების ფორმაციის ცვლამ ყველაფერს დაატყო თავისი კვალი და ეს ბუნებრივიცაა, მთავარია, ერში არ გაქრეს სწრაფვა გამარჯვებისაკენ. ქართულმა სპორტმაც მძიმე წლები გადაიტანა. ჯერ არ დალვინებულა ახალი ცხოვრება და ამ პროცესში უჭირს ქართულ სპორტსაც, გვიჭირს ყველას, მაგრამ ქართული გენი მაინც ხმაურობს, მაინც მწვერვალებისკენაა შემართული ქართული სპორტი, მაინც გვაქვს გულში ამოჭრილი სწრაფვა პირველობისკენ. სხვას რას უნდა მივაწეროთ თუ არა ჩვენს გენს და ეროვნულ ენერგიას, რომ კვლავ ვადიდებთ დედასამშობლოს

იხ. მე-2 გვ.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## როდემდე უნდა იყვნენ ქუთათურები მუდმივი სტუმრები?

განვლილი ტურის ხუთივე მატჩში გუნდები ისე დაწყვილდნენ, სავსებით არ იყო ძნელი ამოსაცნობი, თუ ვინ გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. ტური გაიხსნა „მაქაბისა“ და „დინამოს“ დაპირისპირებით. დინამოელები უდავოდ მაღლა დგანან კლასით და ამ დონის განმსაზღვრელი ყველა კომპონენტით, მაგრამ მაინც ისე მოხდა, რომ მეორე მეოთხედში მაქაბელებმა, პირველი მეოთხედის ათქულიანი სხვაობით წაგების შემდეგ, აჯობეს მოწინააღმდეგეს 25:21. დიდი შესვენებიდან მოედანზე მობრუნებულმა „დინამომ“ ჩვეულ სტილში ითამაშა და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა — საბოლოოდ 96:82 (ტულუში — 25, ხოშტარია — 22, მინაშვილი — 16, ბექანიშვილი — 11, ქლენტი — 9, ჩუბინიძე — 6, კედია — 4, ლოსაბერიძე — 3).

ქუთაისი რომ ჩემპიონატის აუტსაიდერია, ყველას გული სწყდება. საქართველოს მეორე ქალაქმა დღემდე ისიც ვერ მოახერხა, რომ თავის გუნდს შინ თამაშის პირობები შეუქმნას, მუდამ სხვის სარბიელზე თამაში კი, სხვა რომ არაფერი, კალათბურთელებზე ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს. ამჯერად ქუთათურები სსუ-ს მსხვერპლნი გახდნენ. მატჩი 73:89 წააგეს. ქუთაისელთაგან საუკეთესო იყო პირტახია — (17 ქულა). სოხუმელთაგან სორდია (23).

იმავე დღეს „ბასკომ“ შინ აშკარად დაჯაბნა რუსთაველთა გუნდი. ბათუმელებს, ცხადია, კარგად ახსოვდათ წლევანდელი მარცხი რუსთავში და გუნდი სრულად მობილიზებული გავიდა სათამაშოდ. ამას დაუმატეთ საკუთარი გულშემატკივრების მხურვალე მხარდაჭერა, რამაც განაპირობა კიდეც მასპინძლების დამაჯერებელი რევანში — 92:53 (ბერძენიშვილი — 17, ბ. ბერიშვილი — 16, ტუჯანი — 13, ი. ბერიშვილი — 10, ჩხატარაშვილი — 10 იმნაძე — 8, დ. ბერიშვილი — 7, კეშელავა — 5, როდუმტა — 4, კვიმსაძე — 2).

თსუ — „ქუთაისის“ მატჩშიც წინასწარ იყო ცნობილი გამარჯვებული. არანაირი ზედმეტი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ მასპინძლებს, რომ შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაემთავრებინათ. ანგარიში 106:66 თავისთავად მეტყველებს ამაზე. (გამარჯვებულთაგან: ნაცვლიშვილი — 26, შენგელია — 23, კილაძე — 18, მაისურაძე — 15, მარხვაშვილი — 9, თორთლაძე — 5, სანიკიძე — 4, ვეფხვაძე — 2). იგივე შეიძლება ითქვას სტუ — სსუ-ს მატჩზე, რომელმაც თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა და მათივე სოლიდური გამარჯვებით დასრულდა — 122:77 (ხეცურიანი — 30, ბაბიაშვილი — 22, ოგანესიანი — 12, დავითულიანი — 11, მარკოიშვილი და ახალკაცი — 10-10, შანიძე — 9, ნიკოლაძე — 7, მიქაძე — 3, ლაფანაშვილი — 2).

შემდეგი ტური დაიწყება 24 ნოემბერს. ერთმანეთს თბილისში შეხვდებიან თსუ — სსუ (15.00), რუსთავში კი ადგილობრივი გუნდი „დინამოს“ უმასპინძლებს.

**ირაკლი სარალიძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 10 | 9 | 1 | +284 | 19 |
| თსუ | 9 | 7 | 2 | +82 | 16 |
| დინამო | 8 | 7 | 1 | +205 | 15 |
| სტუ | 9 | 6 | 3 | +160 | 15 |
| რუსთავი | 9 | 5 | 4 | +16 | 14 |
| სსუ | 10 | 2 | 8 | -234 | 12 |
| ქუთაისი | 11 | 0 | 11 | -391 | 11 |
| მაქაბი | 8 | 2 | 6 | -76 | 10 |

## შოთა ხაბარელმა ნაკრები დაასახელა



ძიუდოში ევროპის გუნდური პირველობის მოახლოებასთან დაკავშირებით ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა დაასახელა გუნდის შემადგენლობა: ნესტორ ხერგიანი (60), დავით მარგოშვილი (66), გიორგი რევაზიშვილი (73), დავით ნადარაია (81), ზურაბ ზვიადაური (90), ივერი ჯიქურაული (100) და ალექსი დავითაშვილი (მძიმე).

შეგახსენებთ, რომ ევროპის გუნდური პირველობა გაიმართება დეკემბრის პირველ დეკადაში, ლონდონში.

## ახალგაზრდული ნაკრები გაემგზავრა

გუშინ, თბილისიდან ბოსნიაში გაემგზავრა საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც მწვრთნელ ჯემალ ნათელაშვილის ხელმძღვანელობით თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს. ჩემპიონატზე გაემგზავრნენ ის სპორტსმენები, რომელთა დაფინანსება პირადი სახსრებით თუ თბილისის მერიის შემწეობით მოხერხდა. აი ისინიც: ზაზა კედელაშვილი (66), გიორგი ბაიდაური (73), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), ლევან რაზმაძე (100), ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე).

ჩემპიონატი დღეს დაიწყება.

## ახალზელანდიელებმა მსოფლიო თასზე ბრინჯაოს მედლები მიიღეს




ხვალ, ავსტრალიაში, ამ ქვეყნისა და ინგლისის ნაკრებთა ფინალური მატჩით მთავრდება მსოფლიო თასის გათამაშება რაგბში. გუშინ გაიმართა შეხვედრა მესამე ადგილისათვის ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის. თამაში ახალზელანდიელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დასრულდა 40:13. აღსანიშნავია, რომ ფრანგთა შემადგენლობაში თამაშობდა იაშვილი, რომელმაც 8 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

# ფიქრები ქართულ სპორტზე

პირველი გვერდიდან

მსოფლიო სპორტულ სარბიელზე. ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების, არამედ სპორტის ფუნქციონერების – ძირითადად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა, თითოეული მუშაკის თავდადება. ახლა ყველას, სრულიად საქართველოს, ერთი ასახდენი ოცნება აქვს – გაისად, ათენში, ოლიმპიურ თამაშებში საფუძველი ჩავუყაროთ დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური ოქროს მედლების ათვლას. და აქვე შეუძლებელია არ ითქვას იმ დიდ ღვაწლზე, რაც საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან არსებულ ოლიმპიურ ფონდს შეაქვს ზემოხსენებული ოცნების ასახდენად ჩვენი სპორტსმენების მზადებაში.

არის თუ არა დიდი სპორტის საფუძველი მასობრივი, ეგრეთ წოდებული სპორტი ყველასათვის? თუ მივიღებთ მხედველობაში ბავშვთა სპორტს, რა თქმა უნდა, არის. ადრე იყო ასეთი დევიზი: „ბავშვთა სპორტიდან ოლიმპიური სარბიელისკენ!“ და „მომავალი ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაშია!“. ასაკობრივი მემკვიდრეობითობის ოდინდელი ერთიანი სისტემა დღეს აღარ მოქმედებს. უჭირს ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს, მათ შორის ოლიმპიური რეზერვისას. უჭირთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც მოგონებად იქცა სასკოლო და სკოლისგარეშე სექციების მუშაობა. მეტიც, თვით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები აღარ წარმოადგენს მოსწავლეთა ჰარმონიული აღზრდის შემადგენელ ნაწილს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მომრავლდნენ მოზარდები ჯანმრთელობის გადახრით, არმია იღებს ფიზიკურად სუსტ ახალგაზრდობას. ადრინდელი მჩქეფარე სპორტული ცხოვრება, საერთოდ , ამოვარდა საშუალო სპეციალური (კოლეჯები) და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო და ფაკულტეტური მუშაობის რეჟიმიდან. ისევ, ტრადიციულად, სპორტის აკადემია, თსუ და სტუ თუ ინარჩუნებენ, მეტნაკლებად, პასუხისმგებლობას სტუდენტური სპორტის წინაშე.

დავუბრუნდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. გაუმართლებელია, როცა სკოლის დირექტორები თავად წყვეტენ სასწავლო პროგრამის ბედს. და აქვე, როგორ არ გავიხსენოთ განათლების მინისტრის მიერ 70-იან წლებში მიღებული საგანგებო ბრძანება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ „სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე პასუხისმგებლები არიან სკოლის დირექტორები“. აი ასე, ორი საპირისპირო გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ის ადრინდელი ბრძანება არავის გაუუქმებია და კარგი იქნება თუ განათლების სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელობა მის ამოქმედებას წამოსწევს დღის წესრიგში. მაგრამ, არა მგონია ეს მოხდეს. სპორტისადმი განათლების სამინისტროს ნიჰილისტური დამოკიდებულება თუნდაც იმაში მჟღავნდება, რომ მინისტრი საერთაშორისო შეჯიბრებებით შინ წარმატებით დაბრუნებული მოსწავლე-სპორტსმენების შესახვედრადაც ვერ იცლის, ან შეგნებულად არ იცლის. თუ ვინმე რეფორმას ნერგავს, მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ ხომ არ შეიძლება თაობათა ჰარმონიული აღზრდის პროცესიდან, საერთოდ, ამოვაგდოთ ფიზიკური აღზრდა? ვამბობთ ამას და გვინდა ქებით მოვიხსენიოთ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ის ნაბიჯი, რომელიც სკოლებში მოსწავლეთა ოლიმპიური კლუბების გახსნას ისახავს მიზნად. აი, სადაა გამოსავალი. ჩავთვალოთ ეს რეფორმად. ასეთი კლუბების ჩამოყალიბებით იქმნება საფუძველი შეივსოს ის ვაკუუმი, რომელიც სასკოლო და კლასგარეშე სპორტულ საქმიანობაში წარმოიქმნა.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ სპორტული საზოგადოებების, კლუბების ინერტულობაზე. მოდად იქცა სექციებში მოუმზადებლად მასობრივი სპორტული შეჯიბრებების, ტურნირების გამართვა. ეს არ ეხება ბავშვთა ფეხბურთს, სადაც შეიძლება თამამად ითქვას, უკეთაც კია საქმე, ვიდრე ეს ადრე იყო.

კადრების შესახებ. ჩვენი სპეციალისტები, თუ არ აღემატებიან, არავის ჩამოუვარდებიან მომზადება-კვალიფიკაციის დონით, მაგრამ ვინაიდან ძალიან ჭიანურდება მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა, მათაც თვალი უცხოეთისკენ უჭირავთ. ახალგაზრდა სპეციალისტები კი ნაკლებად ეტანებიან სპორტში მუშაობას. შედეგად კი ამას ის მოჰყვა, რომ ნამდვილი სპეციალისტები სხვა სფეროს ირჩევენ სამოღვაწეოდ. სამაგიეროდ, ხელმოცარული ან უმუშევარი ადამიანები ეტმასნებიან ამ სფეროს, განსაკუთრებით ბავშვთა სპორტს. რაც ყოვლად დაუშვებელია.

სამწუხაროდ, ასეთია ვითარება. ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხეთ პრობლემებს. ამასთან, კარგად ვიცით, რომ ყველაფერი ერთბაშად არ გადაწყდება. პრინციპად უნდა გავიხადოთ დევიზი: „ეძიებდე და ჰპოვებდე!“ პრობლემებთან შეუპოვარი ბრძოლის ბევრი კარგი მაგალითი გვაქვს და ეს ასულდგმულებს დღეს ქართულ სპორტს. მომავალშიც, ვიდრე ყველაფერი დალაგდება, ასეთი შეუპოვრობა უნდა გახდეს ახალ წარმატებათა საწინდარი.

თენგიზ გაჩეჩილაძე



გივი ყირმელაშვილი იგონებს...

# ხრუშჩოვი თბილისში

ნიკიტა ხრუშჩოვი ესტუმრა თბილისს, იყო უდიდესი ზეიმი და ტაშფანდური.

„ლოკომოტივის“ (იმხანად „ბურევესტნიკის“) სტადიონზე მოეწყო გრანდიოზული სპორტულ-მხატვრული ზეიმი, რომელშიც 3-ათასამდე მონაწილე იყო. აღმოსავლეთის ტრიბუნის მთელ სიგრძეზე ხრუშჩოვის უზარმაზარი პორტრეტი იყო გამოკიდული.

ზეიმის მსვლელობის დროს, როდესაც მოედანზე ათასზე მეტი სპორტსმენი ვარჯიშობდა, ამოვარდა ქარი და ხრუშჩოვის პორტრეტი ჩამოგლიჯა. ეს ის მომენტია, როდესაც სპორტსმენები ამთავრებენ და ასამდე მოცეკვავე მოედანზე გამოსასვლელად ემზადება. მთავრობის ტრიბუნაზე განგაშია. მაყურებელი ხარხარებს. მთავრობის ტრიბუნიდან მოდის ბრძანებანარევი მუდარა, როგორმე შეაბრუნეთ მსვლელობა, რომ ხრუშჩოვის ყურადღება მეორე მხარეს გადავიტანოთო. რა გვექნა. როგორ შეიძლება თვეების განმავლობაში ნავარჯიშების, ნოტებად აწყობილის, მუსიკაზე გადატანილის შეცვლა. მოედანზე უკვე მოცეკვავე ქალები შემოდიან. სცენარის მიხედვით, როგორც კი მოცეკვავე ქალები მოედანზე შემოვიდოდნენ და სარბენი ბილიკები განთავისუფლდებოდა, ჩვენს ნიშანზე კუს ტბიდან ხევსური ცხენოსნები უნდა წამოსულიყვნენ. ცნობილ არჩილ ჩხარტიშვილთან (ის მხატვრული ნაწილის ხელმძღვანელი იყო) შეთანხმებით, დროზე ოდნავ ადრე მივეცით ნიშანი ცხენოსნებს. რეპორტაჟი ბატონ კოტე მახარაძეს მიჰყავდა. მან სასწრაფოდ ამცნო მაყურებელს, რომ კუს ტბიდან დაეშვნენ ხევსური ცხენოსნები. ტრიბუნებიდან ფეხზე წამოდგნენ. არ დაიბნა ჩვენი ორკესტრის დირიჟორი ალექსანდრე ქელტუხინი და მთიულური დასცხო. ამასობაში ხრუშჩოვის პორტრეტის ნაფლეთები ჩამოგლიჯეს. მაგრამ მოცეკვავე ქალები ჯერ კიდევ სარბენ ბილიკებზე არიან, რომ ცხენოსნები შემოგრიალდნენ. აირია მოცეკვავეთა რიგები, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ცხენოსნებმა წრე გააკეთეს და გაუჩინარდნენ.

გულწრფელად გეტყვით, ხრუშჩოვის პორტრეტი რაში გვენაღვლებოდა, გიჟმაჟ ცხენებზე აღგზნებული მხედრები რომ მოცეკვავეებში შეიჭრნენ, გული ამოვარდნას გვქონდა. აქ ბატონმა კოტემაც მისთვის ჩვეული იუმორით სიტუაცია განმუხტა „ვოტ ტაკიე გრუზინსკიე ჟენშინი“, მათ არაფერი აშინებთო.

ისე კი, ჩვენს მეტს ყველას ეგონა, რაც მოხდა, სცენარით იყო გათვალისწინებული.

და, რაც ყველაზე მთავარია, მთავრობის ზოგიერთი წევრი ინფარქტს გადაურჩა.

# დიდი გამოცდა გამოცდების წინ

სწავლა ვერ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ მას არ ახლავს საბოლოო შედეგი — შეფასება გამოცდების გზით. კლუბ „ტაოს“ კარატე-დოში ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს — კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდებში მონაწილეობისთვის თბილისში რეგიონიდანაც ჩამოდიან სპორტსმენები. ახლახან გამოცდებში გარდა თბილისელებისა, მონაწილეობდნენ გურჯაანის (მთავარი ინსტრუქტორი გიორგი მამისაშვილი), სიღნაღის და საგარეჯოს რაიონის კარატისტები. ვაჟებმა თავისთავად, მაგრამ არანაკლები ჟინით იბრძოლეს ქამრებისათვის ქალებმა დიანა მეხაშიშვილმა და თეონა ბორაშვილმა (სოფ. პატარძეული), ნინო ხიზამბარელმა (სოფ. კალოები), ნინო უსენაშვილმა (სოფ. მაღარო), თამუნა შაკაიამ (ზემო ბოდბე). ყველას, ვინც წარმატებით გაიარა გამოცდები წერილის ბოლოში გაგაცნობთ. მანამდე კი გაგაცნობთ კარატე-დოში კლუბ „ტაოს“ მეორე ღია ჩემპიონატის იმ 6 მონაწილეს, რომლებმაც შეჯიბრებაში ოქროს მედლები დაიმსახურეს. ესენია: 7-8 წლიანებში — უშანგი გურგენიძე (პატარძეული); 8-9 წლიანებში — ცოტნე გოგრიჭიანი (თბ); 10-11 წლიანებში — ნინო ხიზამბარელი (სოფ. კალოები); 12-13 წლიანებში — ემილ ეიუბოვი (თბ), 14-15 წლიანებში — დიმიტრი ჭიკაძე (სოფ. ყანდაურა), 18-19 წლიანებში ვალერი ადუაშვილი (სოფ. ყანდაურა); 14-15 წლიანებში (გოგონები) — დიანა მეხაშიშვილი. (სოფ. პატარძეული).



დ. ჭიკაძე (მარჯვნივ) და გ. ცანკაშვილი

„ტაოს“ კარატისტებმა (2 მონაწილე) წარმატებით ისპარეზეს აგრეთვე კლუბ „ოდიშის“ (პრეზიდენტი ჯამბულ კოდუა) ღია ჩემპიონატში, სადაც უნდა გამოვლენილიყო მსოფლიო ჩემპიონატის კანდიდატები. ორივე მონაწილემ „ტაოდან“ ოქროს მედლები და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, 35 კგ-ში ცოტნე გოგრიჭიანმა (8-9 წლიანები) და 45 კგ-ში ემილ ეიუბოვმა (12-13 წლიანები). მსოფლიოზეც ტაოელებმა ყველა დაჯაბნეს და შინ ოქროს მედლებით დაბრუნდნენ მოსკოვიდან. ამასთან, ეიუბოვმა სპეციალური პრიზიც მიიღო საუკეთესო ტექნიკისათვის. დიდ მადლობას იმსახურებს ჯამბულ კოდუა იმ შესარჩევი შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და სპორტსმენთა მშობლები თანადგომისათვის.

ახლა კი გაგაცნობთ საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებს:

**1. (სოფ. მაღარო) სიღნაღის რაიონი**

ყანდაშვილი ალექსანდრე (მწვანე ქამარი), უსენაშვილი რატი (მწვანე ქამარი), შაიშმელაშვილი რევაზი (მწვანე ქამარი), უსენაშვილი ნინო (მწვანე ქამარი), გოდერძიშვილი ლევანი (ყვითელი ქამარი), უსენაშვილი მიხეილი (თეთრი ქამარი), ხმალაძე ამბერკი (თეთრი ქამარი), ქუსიკაშვილი იოსები (თეთრი ქამარი), ქერედაშვილი შალვა (ყვითელი ქამარი), ქადაგიშვილი ოთარი (ყვითელი ქამარი), უსენაშვილი ფირუზი (ყვითელი ქამარი), ყორჩიშვილი გურამი (მწვანე ქამარი).

**2. (სოფ. კალოები)**

ტრინკოზაშვილი რომანი (ყვითელი ქამარი), ბახტურიძე ტატო (ყვითელი ქამარი), ხიზამბარელი გიორგი (ყვითელოი ქამარი), ხიზამბარელი ნინო (ყვითელი ქამარი), ქუფარაშვილი თამარი, ოტიაშვილი ზვიადი (მწვანე ქამარი), აბელაშვილი გიორგი (ყვითელი ქამარი),

**3 (სოფ. ნუკრიანი)**

შარმიაშვილი ლევანი (ყვითელი ქამარი), ქუფარაშვილი ლევანი (ყვითელი ქამარი), მაზიაშვილი სოსო (ყვითელი ქამარი).

**4 (ქალაქი თბილისი)**

ეიუბოვი ემილი (ყავისფერი ქამარი), ჩატოევი ედიკა (ლურჯი ქამარი), გოგრიჭიანი ცოტნე (ლურჯი ქამარი), გვენცაძე ნოდარი (მწვანე ქამარი), გვენცაძე შაქრო (ყვითელი ქამარი), ზუროშვილი გიორგი (ყვითელი ქამარი), მიქაბერიძე სურენი (ყვითელი ქამარი), ადუაშვილი ვალერი (ყავისფერი ქამარი), ადუაშვილი გიორგი (ყავისფერი ქამარი), ალხვერდოვი ჯაბა (მწვანე ქამარი).

**5 (სოფ. პატარძეული) საგარეჯო**

გურგენიძე უშანგი (ლურჯი ქამარი), მარტიაშვილი ზაქრო (ლურჯი ქამარი), ბორაშვილი თეონა (ლურჯი ქამარი), მეხაშიშვილი დიანა (ლურჯი ქამარი), ოდიკაძე კახა (საგარეჯო) (ლურჯი ქამარი), გულუა ნიკა (საგარეჯო) (ლურჯი ქამარი), მეზვიშვილი ჯემალი (ყვითელი ქამარი),

**6. (სოფ. ველისციხე) გურჯაანი**

მეპურიშვილი შოთა (მწვანე ქამარი), ცხვედენაშვილი გოგა (ყვითელი ქამარი), მენთეშაშვილი გიორგი (ყვითელი ქამარი), ხოტენაშვილი გიგი (მწვანე ქამარი), დვალიშვილი გიორგი (მწვანე ქამარი), ნინიძე შალვა (ყვითელი ქამარი), ოქროაშვილი გუჯა (ყვითელი ქამარი), დათუაშვილი ბექა (მწვანე ქამარი), ოქრუაშვილი გიორგი (მწვანე ქამარი), ოქროაშვილი ვანო (ყვითელი ქამარი), მათიაშვილი შოთა (ყვითელი ქამარი), მარტაშვილი ლაშა (მწვანე ქამარი), რუხიშვილი გიორგი (ყვითელი ქამარი), ბაინდურაშვილი მიშიკო (ყვითელი ქამარი), გარსევანიშვილი შალვა (ყვითელი ქამარი).

ინსტრუქტორი: გიორგი მამისაშვილი.

კლუბ „ტაოს“ პრეზიდენტი დავით მამაგულაშვილი.



მარცხნიდან: ე. ეიუბოვი, დ. მამაგულაშვილი და ც. გოგრიჭიანი



ფოტოები რ. ბაგრატიანისა

# ბილიარდს ბათუმში მერიც თამაშობს

აჭარაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საბილიარდო სპორტი, რისი დასტურიც ამას წინათ ბათუმში გამართული სარეიტინგო ტურნირი იყო, რომელშიც ყველა მსურველს შეეძლო ესპარეზა. შემდეგ ეტაპზე გადიოდა ორ-ორი გამარჯვებული თითოეული ჯგუფიდან.

აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში ვერ მოხვდნენ ისეთი ძლიერი მობილიარდეები, როგორიცაა თენგიზ მესხიძე, საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი თენგიზ ლლონტი, ედუარდ ჯოჯუას სახელობის ტურნირში გამარჯვებული, 18 წლამდე ასაკში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ვახტანგ ურუშაძე.

როგორც მთლიანად ტურნირი, ისე ნახევარფინალები საინტერესოდ ჩატარდა. ბათუმის მერმა გიორგი აბაშიძემ დაამარცხა ნუგზარ თებიძე, ხოლო კახა ფიფიამ — კახა ბაქარიშვილი. ფინალში ნამდვილად ღირსეული მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში დავით ფიფიამ მოუგო გიორგი აბაშიძეს. — 5:3.

პრიზიორებმა მიიღეს ფულადი პრემიები.

დეკემბრის პირველ დეკადაში მოსკოვში, ბილიარდის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას დაიცავს ვახტანგ ურუშაძე, ევროპის ჩემპიონატზე კი, რომელიც კიევში გაიმართება, დავით ფიფია გამოვა.

ოთარ მურვანიძე,
*„ლელოს“ საკ. კორ. აჭარაში.*





# ფეხბურთი რასიზმის გარეშე

UNITE AGAINST RACISM

## ანონსი

## თბილი ადგილის მაძიებელნი

ეროვნული პირველობის მეთვრამეტე ტურმა შედარებით შვიდად და ხმაურიანი კონფლიქტების გარეშე ჩაიარა. გამოსარჩევია კოლხების ზედიზედ მეორე გამარჯვება. თუმცა, ფოთელთა ნაგვიანევი გამოფხიზლება, თავად გუნდს საბოლოოდ რამდენად წაადგება — საკითხავია. დღეს, მომდევნო, მეცხრამეტე ტურის ოთხი მატჩით პირველობა განახლდება. პარასკევის მატჩებიდან გამოსაყოფი თბილისში გასამართი მატჩია. „თბილისი" სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფ ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს. თანაბარქულიან მეტოქეთა შერკინება მართლაც მნიშვნელოვანია. ორივე კლუბი ზედაექვსეულში მოხვედრას ცდილობს და ალბათ, ეს შეხვედრაც მეტოქეებს საბოლოოდ დააკვალიანებს. გამარჯვებული წინსვლას განაგრძობს. დამარცხებულს კი, თუ სასწაული არ მოხდა, ბედთან შეგუება მოუწევს და მაჩანჩალებს ლიგაში დასარჩენად გაებრძოლება. შაბათს კი, ორი სუპერმატჩია. პირველ-მეორე ადგილზე მყოფი „სიონი" და დედაქალაქის „დინამო" პირველი ეტაპის უპირველესი გუნდის ვინაობას ბოლნისში გაარკვევენ. კიდევ ორი გუნდი, რომელიც ზედაექვსეულისკენ მიისწრაფის, ერთმანეთს რკინიგზელთა არენაზე, „ლოკომოტივის" სტადიონზე დაუპირისპირდება. ვიტელებს, თითქმის, თავი ქუდში აქვთ, „ლოკომოტივს" კი სანუკვარი მიზნისკენ სავალ გზაზე კიდევ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. სხვა მხრივ, განსაკუთრებული არაფერი ხდება. თუმცა, ფინიშის მოახლოებასთან ერთად, ეროვნული ჩემპიონატის დასკვნით ტურებში ვითარება რომ უფრო დაიძაბება და დაიმუხტება, ნადდია.

**საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში XIX ტური**

**უმაღლესი ლიგა**

**XIX ტური**

**პარასკევი, 21 ნოემბერი**

დილა — სპარტაკი
მცხეთა — დინამო (ბთ)
თბილისი — ტორპედო
მერცხალი — კოლხეთი 1913

**შაბათი, 22 ნოემბერი**

სიონი — დინამო (თბ)
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 18 | 12 | 4 | 2 | 38-6 | 40 |
| სიონი | 18 | 10 | 7 | 1 | 26-11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 29-11 | 32 |
| დილა | 18 | 9 | 3 | 6 | 27-18 | 30 |
| თბილისი | 18 | 7 | 4 | 7 | 29-23 | 25 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 4 | 7 | 26-21 | 25 |
| ტორპედო | 18 | 7 | 4 | 7 | 17-19 | 25 |
| დინამო (ბთ) | 17 | 7 | 2 | 8 | 21-19 | 23 |
| მცხეთა | 18 | 6 | 2 | 10 | 21-43 | 20 |
| კოლხეთი1913 | 18 | 5 | 3 | 10 | 12-23 | 18 |
| სპარტაკი | 18 | 3 | 4 | 11 | 11-42 | 13 |
| მერცხალი | 18 | 2 | 4 | 12 | 16-37 | 10 |

**ბომბარდირები**

ს. დავითაშვილი — 12 (თბილისი)
დ. გოცირიძე — 11 (ვიტ ჯორჯია)
ა. გონჩაროვი — 11 (სიონი).

## ვინ შემოსავს ნაკრებს?

**„პუმა", „ასიქსი", „უმბრო" სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ის ფირმებია, რომელთა შორისაც არჩევანი უნდა გააკეთონ სფფ-ს მესვეურებმა. გერმანიიდან ხანმოკლე მივლინების შემდეგ დაბრუნებულმა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ ჩვენთვის სინტერესო კითხვებზე გვიპასუხა.**

ზემოთ ჩამოთვლილი ფირმებიდან მომავალში სფფ-ს ყველაზე სავარაუდო პარტნიორად გერმანული „პუმა" მოიაზრება.

— „პუმას" შტაბბინაში შევხვდი ფირმის წარმომადგენელს ჰორსტ ვიტმანს. მანამდე ინვოისების მეშვეობით ყველა პოზიცია შევათანხმეთ, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაზე ფრანკფურტში შევხვედრით და უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. „პუმას" ფორმის თეთრი, შინდისფერი და სარეზერვოდ შავი ფერი შევთავაზეთ, მოვილაპარაკებთ ფორმის ცხრა ვარიანტზე. ჰ ერცოგენ არლახში „პუმასა" და „ადიდასის" უზარმაზარი მაღაზიები ვინახულე. ფასები ამ მაღაზიებში განსაკუთრებით ხელსაყრელია, რაზედაც მყიდველთა მასშტაბური, თითქმის 30 მილიონი, რაოდენობა მიუთითებს. წინასწარი მოლაპარაკება წარმატებულად მიმდინარეობს და კენჭისყრამდე „პუმასთან" კონტრაქტს უნდა მოვაწეროთ ხელი. გერმანელები ლოგოს და დიზაინს, ფაქტობრივად, უფასოდ გვაძლევენ. „პუმას" წარმომადგენლები ათ დღეში დაგვიკავშირდებიან და 5 დეკემბრამდე, ალბათ, გვეცოდინება თუ ვინ შემოსავს ეროვნულ ნაკრებს. მწვრთნელის ვინაობა კი კენჭისყრის შემდეგ რამდენიმე დღეში გაცხადდება. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს, ვითარება განიმუხტოს და დასტაბილურდეს, თორემ არეულ და შფოთიან ქვეყანაში სამუშაოდ არავინ ჩამოვა. რაც შეეხება ნაკრების ამხანაგური მატჩების გრაფიკს, ისიც კორექტირების შემდეგ კენჭისყრის მერე დალაგდება. რამდენიმე დღის წინ იტალიელ და სამხრეთამერიკელ აგენტებს, ვინც სანაკრებო მატჩების გრაფიკებზე მუშაობენ, ჩვენ სავარაუდო თარიღები ვაცნობეთ. თებერვალში, ნაკრები, მოგეხსენებათ, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს. სხვა სპარინგებისთვის შეირჩა 10 და 31 მარტი, 28 აპრილი და 12 მაისი.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola გენერალური სპონსორი

## სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

## მსაჯის ცემა ძვირი სიამოვნებაა „დილა" ლიგაში დატოვეს, მაგრამ...

„გორელებს ქებამ აწყინა... ამიერიდან არავის შევაქებ" — გულდაწყვეტილმა აღნიშნა სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ გოგიაშვილმა. ბოლო ათ დღეში გორელი ფეხბურთელების უდისციპლინობისა და უხამსობის სამი ეპიზოდი გაარჩია სადისციპლინო კომიტეტმა. „კენჭების სროლას, ქვების სროლა მოჰყვა, მაგრამ ის, რაც ბოლნისში, „სიონისა" და „დილას" მატჩის 75-ე წუთზე მოხდა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება". გორელთა კარში პენალტის დანიშვნას „დილას" ფეხბურთელთა გააფთრება მოჰყვა, ისინი გამეტებით ექცეოდნენ შეხვედრის მთავარ არბიტრს კახაბერ მესხს. განსაკუთრებით ოთხი ფეხბურთელი აქტიურობდა. მსაჯს არც ცემა, არც წიხლი და არც ბოთლის სროლა დაჰკლებია, თუმცა მატჩი მაინც დასრულდა. სადისციპლინო კომიტეტმა „დილას" ფეხბურთელების — აურზაურის წამომწყების გოჩაშვილის, კაიდარაშვილის, ლაბაძისა და ძოძუაშვილის უსაქციელობაზე დიდხანს იმსჯელა. თავისი თქვეს გუნდის მწვრთნელმა ხორგუაშვილმა და გუნდის ხელმძღვანელმა — „ჩვენ დავსაჯეთ ხულიგანი ფეხბურთელები, ლაბაძეს და ძოძუაშვილს კლუბიდან გავრიცხავთ, სხვა სანქციებსაც გავატარებთ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, მაგრამ თუ მცირედით მაინც არ შეგვიმსუბუქებთ სასჯელს, „დილა" შეიძლება დაიშალოს". „გუნდი, საერთოდ, უნდა გაირიცხოს უმაღლესი ლიგიდან, მაგრამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, თუმცა სასჯელი უმკაცრესი იქნება" — ასეთი იყო კომიტეტის წევრთა პასუხი „დილას" კლუბის მესვეურთა თხოვნაზე. განაჩენი მართლაც მკაცრი გამოიტანა სადისციპლინო კომიტეტმა. ათას-ათასი ლარის ჯარიმა და 10 თამაშიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს გოჩაშვილმა, კაიდარაშვილმა და ძოძუაშვილმა, ლაბაძე კი 1000 ლარიან ჯარიმასთან ერთად, ფეხბურთისგან ერთი წლით დაისვენებს.

გარჩეული საკითხის ირგვლივ მსჯელობა ხეირიანად დასრულებულიც არ იყო, რომ გორელთა „შესრულებით" ერთი ეპიზოდიც ამოტივტივდა, ამჯერად, საქმე ჩინოსან პიროვნებას ეხებოდა. „დილა" — „მცხეთას" მატჩის დაწყებამდე, მსაჯთა ოთახში, არბიტრების დაშინების მიზნით, შევიდა გორის გამგებლის მოადგილე გელა გოგიჩაშვილი, რომელიც მსაჯებს დაემუქრა — „აქედან ცოცხლები ვერ გახვალთ თუ „დილამ" არ მოიგოო". მატჩის ინსპექტორისა და დირექტორის ძალისხმევით კონფლიქტი არ გართულებულა და საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტს გორელი თანამდებობის პირის მუქარა უყურადღებოდ არ დაუტოვებია. უცხო პირთა უადგილო თარეშის აულაგმობა გორის სტადიონის დირექციას მკაცრ გაფრთხილებად და 1000 ლარის ჯარიმად დაუჯდა. სადისციპლინო კომიტეტი კი მომხდარ ფაქტზე წერილით მიმართავს სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახურის უფროსს ირაკლი ბოჭორიძეს.

უზრდელობის მაგალითი გადამდები რომ არის, მცხეთისა და ოზურგეთის სტადიონებზე, კალენდარულ მატჩებზე გულშემატკივართა მიერ ქვების სროლის ფაქტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. არავინ დაშავებულა, მაგრამ მაყურებელთა უდისციპლინობის გამო მცხეთისა და ოზურგეთის სტადიონების ხელმძღვანელები მკაცრად გააფრთხილეს და 500-500 ლარის ჯარიმით დასაჯეს. და კიდევ... მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ორ-ორ მატს გამოტოვებენ ცხინვალელი პაატა ფეზუაშვილი და ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე მცხეთელი ფეხბურთელი ოთარ დევდარიანი.

საბა ლომინაძე

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 11 | 8 | 2 | 1 | 30-9 | 26 |
| სიონი(ბოლნ) | 12 | 8 | 2 | 2 | 25-7 | 26 |
| ლოკომოტ3 | 12 | 8 | 2 | 2 | 22-10 | 26 |
| ნორჩ. დინ | 12 | 6 | 4 | 2 | 24-12 | 22 |
| დინამო(სოხ) | 12 | 6 | 2 | 4 | 24-14 | 20 |
| ცხუმი | 12 | 5 | 3 | 4 | 22-14 | 18 |
| ავაზა | 11 | 5 | 2 | 4 | 10-10 | 17 |
| კრწანისი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-10 | 16 |
| თ.ს. აკადემია | 12 | 4 | 4 | 4 | 19-12 | 16 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 15-17 | 11 |
| ნორჩ. დინ2 | 12 | 2 | 2 | 8 | 11-22 | 8 |
| სიონი (თბ) | 10 | 2 | 2 | 6 | 10-31 | 8 |
| ჰერეთი | 11 | 1 | 5 | 5 | 4-8 | 8 |
| ერთობა | 11 | 2 | 1 | 8 | 8-22 | 7 |
| იბერია | 11 | 1 | 0 | 10 | 4-30 | 3 |

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 12 | 8 | 4 | 0 | 34-7 | 28 |
| დინამო (ზ) | 13 | 8 | 3 | 2 | 26-15 | 27 |
| კოლხეთი (ხ) | 13 | 8 | 1 | 4 | 17-13 | 25 |
| სტაბი | 13 | 7 | 4 | 2 | 17-6 | 25 |
| მეშახტე | 13 | 6 | 5 | 2 | 19-14 | 23 |
| ოლიმპიკი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-9 | 21 |
| რაჭა | 13 | 5 | 5 | 3 | 24-22 | 20 |
| სალხინო | 13 | 6 | 1 | 6 | 14-18 | 19 |
| სქური | 11 | 5 | 2 | 4 | 18-12 | 17 |
| ტორპედო2 | 13 | 5 | 2 | 6 | 15-18 | 17 |
| დინამო2(ბთ) | 11 | 4 | 3 | 4 | 10-12 | 15 |
| იმედი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-18 | 11 |
| დინამო (ქ) | 13 | 2 | 5 | 6 | 17-25 | 11 |
| სულორი | 13 | 3 | 1 | 9 | 19-23 | 10 |
| ეგრისი | 13 | 2 | 0 | 11 | 11-44 | 6 |
| კოლხეთი-2 | 13 | 1 | 3 | 9 | 15-29 | 6 |

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 12 | 12 | 0 | 0 | 40-10 | 36 |
| მერანი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-9 | 24 |
| ყაზბეგი | 12 | 7 | 3 | 2 | 21-9 | 24 |
| ზოოვეტი | 12 | 7 | 1 | 4 | 21-14 | 22 |
| ლიახვი | 12 | 7 | 1 | 4 | 18-13 | 22 |
| დინ.-აკად. | 12 | 6 | 3 | 3 | 25-15 | 21 |
| ურიონი | 13 | 6 | 2 | 5 | 24-16 | 20 |
| ასა | 12 | 6 | 2 | 4 | 17-12 | 20 |
| პრემა | 12 | 6 | 2 | 4 | 23-16 | 20 |
| სამგორი | 12 | 6 | 1 | 5 | 16-28 | 19 |
| განთიადი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-21 | 12 |
| მესხეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 16-24 | 8 |
| ირაო-ვაკე | 12 | 2 | 0 | 10 | 10-30 | 6 |
| ტონთიო | 12 | 1 | 3 | 8 | 12-22 | 6 |
| ზარზმა | 13 | 0 | 0 | 13 | 5-44 | 0 |

**საქართველოს თასის წინასწარი ეტაპი**

ერთობა (ახმეტა) — ჰერეთი 0-3
თ.ს.აკადემია — თბილისი 0-1

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს ბიძაშვილის დავით აროშიძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ჩვენი რედაქცია თანაუგრძნობს სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს ბიძაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

## პლატინი მშვიდობას გვისურვებს

ვალერი ჩოლარიამ საუბრის ბოლოს მიშელ პლატინის მერაბ ჟორდანიასადმი გამოგზავნილი წერილი გაგვაცნო, რაც იმის დასტურია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ევროპაშიც ყურადღებით ეცნობიან და საფეხბურთო სამყაროს საქართველოში სტაბილურობა სურს.

19 ნოემბერი, 2003 წელი
ძვირფასო მერაბ,
ვიცი, რომ თქვენ ახლა საქართველოში ძალზე რთულ პირობებში გიწევთ ცხოვრება. მსურს გამოვხატო ჩემი თქვენდამი მხარდაჭერა და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო თქვენ და ფეხბურთის საქმიანობაში ჩართულ ყველა პიროვნებას. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სპორტი არ დაზარალდება ამ მოვლენებისაგან. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები. მოუთმენლად ველი თქვენთან მალე შეხვედრას.

**გამოგზავნილია პარიზში მიშელ პლატინის ოფისიდან ბ-ნ ალაინ ლეიბლანის მიერ.**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

## ხუთი ნაბიჯით უკან

ფიფა-კოკა-კოლას ნოემბრის რეიტინგით საქართველოს ეროვნული ნაკრები სანაკრებო რანგ-ლისტში ხუთი საფეხურით დაქვეითდა. და ახლა ოდენ 92-ე ადგილზეა. რეიტინგს კვლავინდებურად ბრაზილიის ეროვნული გუნდი ლიდერობს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ნაკრების ყოფილი მეტოქეებიდან საუკეთესო ადგილი უკავია ირლანდიის ნაკრებს. ბრიტანელები მე-15 ადგილზე არიან. მომდევნო რეიტინგს ფიფა 15 დეკემბერს გამოაქვეყნებს.

## პირველი ლიგა

**XIV ტური**

ლოკომოტ.(სამტრ) — ცხინვალი 2-1
ქობულეთი — ივერია 1-2
თსუ — ლუკა 3-0
ამერი — გურია 1-0
ჩიხურა — დინამო2 (თბ) 4-2
გორდა — ვიტ ჯორჯია (მცხ) 1-3
მილანი — ოლიმპი 1-0
მეტალურგი — სამგურალი 0-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 14 | 10 | 1 | 3 | 25-11 | 31 |
| სამგურალი | 14 | 8 | 4 | 2 | 19-7 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-9 | 25 |
| ოლიმპი | 14 | 7 | 4 | 3 | 21-14 | 25 |
| მილანი | 14 | 6 | 3 | 5 | 11-9 | 21 |
| გორდა | 14 | 6 | 3 | 5 | 14-15 | 21 |
| ამერი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-13 | 20 |
| ჩიხურა | 13 | 6 | 1 | 6 | 18-16 | 19 |
| ლოკომ.(სამტ.) | 14 | 6 | 1 | 7 | 12-17 | 19 |
| ივერია | 14 | 5 | 4 | 5 | 12-19 | 19 |
| ვიტ ჯორჯ.(მცხ) | 13 | 4 | 6 | 3 | 11-10 | 18 |
| გურია | 14 | 5 | 2 | 7 | 17-20 | 17 |
| თსუ | 14 | 5 | 2 | 7 | 23-17 | 17 |
| დინამო2(თბ) | 14 | 4 | 4 | 6 | 21-20 | 16 |
| ლუკა | 14 | 4 | 1 | 9 | 12-24 | 13 |
| მეტალურგი | 14 | 0 | 1 | 13 | 5-41 | 1 |

## რეგიონული ლიგა

**გადატანილი მატჩები**

**აღმოსავლეთის ზონა**

კრწანისი — ნორჩი დინამო 2-2
ცხუმი — დინამო (სოხ) 3-4

**დასავლეთის ზონა, XIII ტური**

დინამო (ქ) — მეშახტე 1-2
სტაბი — რაჭა 0-0
სალხინო — ტორპედო2 2-1
იმედი — დინამო (ზ) 1-1
სქური — მალაროელი (22.11).
კოლხეთი(ხ) — დინამო 2 (ბთ) 1-0
ოლიმპიკი — კოლხეთი2 4-0
ეგრისი — სულორი 1-5

**ცენტრალური ზონა, XIII ტური**

ირაო — ყაზბეგი 0-3
მესხეთი — განთიადი 3-0
ასა — პრემა 1-2
მერანი — ტონთიო 2-0
დინამო-აკადემია — ლიახვი 1-1
თორი — ურიონი 1-0
სამგორი — ზარზმა 2-0
ზოოვეტი — ისვენებს.

**საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!**

# ვიქტორ პანიუკოვი – 85

თბილისის „დინამოს" პირველი თაობის ფეხბურთელებს შორის ვიქტორ პანიუკოვმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება, როგორც უნივერსალურმა ფეხბურთელმა, რაც მაშინ უჩვეულო მოვლენა იყო... ბაქოში დაბადებული ვიქტორ პანიუკოვი სხვადასხვა დროს რუსეთის ფედერაციის გუნდებში თამაშობდა — 1939 წლის საფეხბურთო სეზონში კი თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში გამოჩნდა, ხოლო მომდევნო, 1940 წელს, როგორც საუკეთესო რკინიგზელ ფეხბურთელთა შორის, თბილისის „დინამოში" ჩარიცხეს. აქ მას სახელოვანი კლუბის ღირსების დაცვა მოუხდა ტყავის ბურთის ისეთი ვირტუოზების მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა და სხვები. პირველსავე სეზონიდან ვიქტორ პანიუკოვი კარგად შეეწყო „დინამოს" მობილურ კოლექტივს და 6 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ასეთივე შედეგით აღინიშნა მისი ომისშემდგომი პერიოდის, 1945 წლის საფეხბურთო სეზონიც. ვიქტორ პანიუკოვის მოქმედების დიაპაზონი საკმაოდ დიდი იყო — ფაქტობრივად, კარიდან — კარამდე, იგი ერთნაირი გულმოდგინებით ასრულებდა გუნდის როგორც დაცვით, ისე შემტევ ფუნქციას. 1946 წლის საფეხბურთო სეზონში ვიქტორ პანიუკოვი ვიცე-გოლეადორი გახლდათ 10 გატანილი ბურთით ბორის პაიჭაძის შემდეგ, რომლის აქტივში 14 გოლი იყო. 13 სეზონის განმავლობაში გამოდიოდა იგი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში და არავის ახსოვს მისი უგულო თამაში, იგი მთელ თავის შესაძლებლობას აქსოვდა გუნდის წარმატებაში. ერთი სიტყვით, ვისაც ვიქტორი მწვანე მინდორზე უნახავს,



ცენტრში – ვიქტორ პანიუკოვი, მარცხნივ – ანდრო ზაზროევი, მარჯვნივ – რევაზ მახარაძე

სადაც ბურთი იყო, იქ იყო ვიქტორიც. ამიტომ მწვრთნელები მას საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ამპლუაში ათამაშებდნენ. ერთნაირი ძალით შეეძლო მოქმედება როგორც თავდასხმაში, ისე ნახევარდაცვაში, დაცვაში და წარმოიდგინედ, მეკარედაც კი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გმირობა, რაც დღემდე ლეგენდად შემორჩა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიას. 1941 წლის საფეხბურთო სეზონში თბილისის „დინამო" გასვლით მატჩს ლენინგრადში, ადგილობრივ „სპარტაკთან" ატარებდა. მსაჯმა ამ მატჩში თამაშის წესის რაღაც დარღვევისთვის თბილისელთა მეკარე ამირან ტყუბუჩავა მოედნიდან გააძევა. დინამოელებს ერთი ფეხბურთელი უკვე შეცვლილი ჰყავდათ და დარჩენილი 10 მოთამაშიდან „დინამოს" კარის დაცვა ვიქტორს მიანდეს, რომელსაც ამ დრომდე ლენინგრადელთა კარში ორი ბურთი უკვე ჰქონდა გატანილი. გარდა იმისა, რომ ამ მატჩში მან რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია, შეძლო პენალტის აღებაც, ხოლო მეორე თერთმეტმეტრიანი მეტოქემ ნერვიულობისგან კარს ააცილა. დღევანდელი გადასახედიდან ვიქტორ პანიუკოვი მსოფლიოს გამოჩენილ ვარსკვლავებს ბობი ჩარლტონს და იოჰან კრუიფს მოგაგონებდათ — უმაღლესი დონის ტექნიკა, სისწრაფე, სწრაფი ტაქტიკური აზროვნება და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედების ფართო დიაპაზონი. თბილისის „დინამოს" ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობის დასახელების დროს, მისდროინდელი ვეტერანი ფეხბურთელები ერთხმად აღიარებდნენ ვიქტორ პანიუკოვს, როგორც უნივერსალურ ფეხბურთელს. აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ იგი წვრთნიდა საქართველოს რაიონების და ქალაქების სხვადასხვა გუნდებს, ასევე აქტიურად გამოდიოდა ვეტერან ფეხბურთელთა რიგებში, სადაც მაყურებლის გაოცებას იწვევდა თავისი აქტიურობით და არ ერიდებოდა მინდორზე „შავი სამუშაოს" შესრულებას.

საბჭოურ ფეხბურთში ვიქტორ პანიუკოვისთანა ფეხბურთელები ხომ თითზე ჩამოსათვლელი იყო. ამ მხრივ მას მეტოქეობას მხოლოდ ვალერი ვორონინი და სლავა მეტრეველი თუ გაუწევდნენ. 1948 წელს ვიქტორ პანიუკოვს თანაგუნდელებთან, გრიგოლ გაგუასთან, არჩილ კიკნაძესთან და სერგო შუდრასთან ერთად მიენიჭა უმაღლესი სპორტული წოდება — სამივე სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა.

**დემურ ტორაძე**

**P.S.** სარწმუნო წყაროებით, ვიქტორ პანიუკოვი 1918 წლის ნოემბერშია დაბადებული.

## ჭაბუკთა ლიგა

**X ტური**

**87-88 წ.წ.**

კოლხეთი1913 — სპარტაკი (გადაიდო)
ვიტ ჯორჯია — ტორპედო (გადაიდო)
მერცხალი — დინამო (ბთ) 3-0
თბილისი — დილა 4-3
სიონი — მცხეთა 1-5
ლოკომოტივი — დინამო (თბ) 0-0

**89-90 წ.წ.**

კოლხეთი1913 — სპარტაკი (გადაიდო)
ვიტ ჯორჯია — ტორპედო (გადაიდო)
მერცხალი — დინამო (ბთ) 1-5
თბილისი — დილა 7-1
სიონი — მცხეთა 1-6
ლოკომოტივი — დინამო (თბ) 0-4

**85-86 წ.წ.**

სპარტაკი — კოლხეთი1913 2-0
ტორპედო — ვიტ ჯორჯია 0-2
დინამო (ბთ) — მერცხალი 2-1
დილა — თბილისი 0-3
მცხეთა — სიონი 1-2
დინამო (თბ) — ლოკომოტივი 0-2

**გამოტოვებული მატჩები**

თბილისი — მცხეთა 1-0
დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია 1-2
ლოკომოტივი — დინამო (ბთ) (25.11.)

# კახი ასათიანის თასი რუსთავს ერგო

გუშინ, კახი ასათიანის ტრაგიკულად დაღუპვის წლისთავზე დასრულდა, თითქმის ერთი კვირა მიმდინარე, გამოჩენილი ფეხბურთელის და სპორტული მოღვაწის სახელობის თასის პირველი საერთაშორისო გათამაშება მინიფეხბურთში. ბავშვთა „სახალისო ფეხბურთის" ტურნირის ფინალურ მატჩებს სპორტის სასახლეში, წინ უძღოდა კახი ასათიანის მოსაგონარი წუთიერი დუმილი, თეატრალიზებული წარმოდგენა, ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, კოლეგებმა გაიხსენეს კახი ასათიანი, სპორტსმენი და საზოგადო მოღვაწე. ილაპარაკეს მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდის საქმიანობაზე — ფონდის ინიციატივით, ამიერიდან ვეტერან ფეხბურთელებს დაენიშნებათ პენსიები, ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელებს კი სტიპენდიები, გაიმართება ვეტერან ფეხბურთელთა და ბავშვთა ტურნირები, მისი სახელობის თასის გათამაშება კი ტრადიციული გახდება.

გუშინ დამთავრებულ პირველ ტურნირში გაიმარჯვა და სფფ-ს პრეზიდენტისგან მერაბ ჟორდანიასგან კახი ასათიანის თასი ჩაიბარა რუსთავის გუნდმა (მწვრთნელი ბადრი მაჭავარიანი). ფინალურ მატჩში რუსთაველებმა 5-2 მოუგეს თბილისის გუნდს (მწვრთნელი რევაზ გაგუა). მესამე ადგილზე გავიდა წყალტუბოს გუნდი, რომელმაც 3-1 აჯობა ბაქოელ თანატოლებს. დარიგდა ინდივიდუალური პრიზები. ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი მიიღო ალეკო თუთბერიძემ (ქუთაისი), გოგონებს შორის ანალოგიური პრიზი ერგო ანა ყურაშვილს (წყალტუბო). საუკეთესო მეკარე გახდა ალეკო რევაზიშვილი (გორი), საუკეთესო ფეხბურთელი — ვალერი კილასონია (რუსთავი), საუკეთესო მწვრთნელი — ბადრი მაჭავარიანი (რუსთავი). ფლეირ-ფლეის „სამართლიანი თამაშის" პრინციპების დამცველ გუნდად აღიარეს წალენჯიხის გუნდი (მწვრთნელი ბადრი ზარქუა).

საუკეთესო მცველის პრიზი ერგო გიორგი თანიაშვილს (თბილისი), საუკეთესო ნახევარმცველისა — საფურა გაზიევას (ბაქო). ტურნირის ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა დარეჯან მეზვრიშვილმა (მცხეთა).

## საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის



ვეტერანი მსაჯი ელდარ ჩიფჩიური

# ფეხბურთის მსაჯი საფეხბურთო ქალაქიდან

როცა საქმე ფეხბურთს ეხება, როცა საქართველოში ფეხბურთის წინსვლა-განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ დიდ წვლილს, რომელიც ქუთაისის წარმომადგენლებმა შეიტანეს საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში. როგორ შეიძლება არ აღვნიშნოთ კარლო ხურციძის და უშანგი სალდაძის დიდი ღვაწლი. ისინი ხომ წლების მანძილზე თავიანთი გამჭრიახობით, დიდი პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებით, უტყუარი ალღოთი, თავისი აღზრდილებით სხივს მატებდნენ ქართულ ფეხბურთს. რამდენი ფეხბურთის ოსტატი და დიდოსტატი აღუზარდა ქუთაისმა ჩვენს ფეხბურთს, ვინ ჩამოთვლის.



ტ. ნიშნიანიძე (ცენტრში), მარცხნივ - მ. ჭელიძე, მარჯვნივ - მ. კობიაშვილი

ამ ყველასათვის მიმზიდველ საფეხბურთო ქალაქში, კვალიფიციურ ფეხბურთის მსაჯთა სიმრავლე სწორედ ფეხბურთის განვითარებამ განაპირობა, რაც პირველ რიგში კ. ხურციძის, დ. ჩირაძის, ს. კეკელიას, გ. ყაველაშვილის და პირველი ქუთაისელი საკავშირო კატეგორიის მსაჯის – ზურაბ თოდაძის დიდი დამსახურებაა. მათ მაგალითზე შემდგომში აღიზარდნენ საქართველოს და კავშირის მასშტაბით ისეთი ცნობილი მსაჯები, როგორებიც გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში იყვნენ: გ. ბზიკაძე, ვ. ლობაბერიძე, დ. აბუთიძე, ტ. ნიშნიანიძე, ა. აფრიდონიძე, ბ. ილინი და სხვები.

დღეს ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგითხროთ.

სიცოცხლით სავსე, ანცმა, ხალისიანმა და დაუდეგარმა, ამავე დროს ყოყლოჩინა ყმაწვილმა ფეხბურთში დიდი აღიარება ვერ ჰპოვა. რას იზამდა, დიდი ფეხბურთისთვის ყველა არ იბადება. გაგრძელება მისწრაფებამ ფეხბურთის მსაჯობაში ჰპოვა.

იმხანად საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას, ქუთაისიდან ორი მეტად პერსპექტიული და მზარდი ახალგაზრდა შემოემატა – დემურ აბუთიძე და ტრისტან ნიშნიანიძე. ორივემ ძალიან სწრაფად მოიპოვა აღიარება, თავის უფროს კოლეგებს ღირსეულად ამოუდგნენ გვერდში, მოკლე პერიოდში მოხვდნენ საკავშირო მატჩების მომსახურე მსაჯთა სიაში. აქაც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოავლინეს და წარმატებით გაართვეს თავი საქმეს. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. დემური მსაჯობის შემდეგ, შინ დაბრუნების დროს საავტომობილო კატასტროფამ შეიწირა. ეს კი მსაჯთა კორპუსის დიდი დანაკლისიც იყო. ტრისტანმა გზა გააგრძელა. წლების განმავლობაში ამშვენებდა საუკეთესო მსაჯების სიას. მას მარტო საკავშირო პირველობაზე 150-მდე მატჩი აქვს ნამსაჯი. საქართველოს პირველობაზე კი ვინ მოსთვლის – რამდენი. 1980 წელს საცხოვრებლად ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა. აქვე გააგრძელა შრომითი საქმიანობა.

ტრისტან ნიშნიანიძე, ეს ის პიროვნებაა, რომელიც სამსახურს თავისი ნიჭით და დიდი უნარით ყოველთვის მოხერხებულად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას, ყოველთვის, ყველგან მოწინავეთა რიგებში იდგა. ახლაც ასეა. მუდამ ხალისიანი, ერთ ადგილზე არ ჩერდება. სულ შრომაშია. დრო არასდროს ჰყოფნის, მუდამ სადღაც ეჩქარება. რა ჰქნას, ასეთია მისი სამსახურებრივი მოვალეობა, მისი პროფესია.

რესპუბლიკური და ეროვნული კატეგორიების მსაჯი, იუსტიციის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილის დირექტორის მოადგილე, პოლკოვნიკი ტრისტან ნიშნიანიძე დღესაც, მიუხედავად მძიმე სამსახურებრივი დატვირთვისა, ფეხბურთს მაინც არ ეშვება – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა ასოციაციის დავალებით ინსპექტორის მოვალეობას ასრულებს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე.

წინ ქართული ფეხბურთის სამსახურის კიდევ დიდი დროა.



### ვაზუსტებთ...

„ლელოს" 88-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ედუარდ სტრელცოვის გახსენება" პირველი სვეტის ბოლოდან მესამე სტრიქონში უნდა იკითხებოდეს — „ინდონეზია".

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა





**სურათებზე:** მერაბ ჟორდანია მთავარ პრიზს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს; ასათიანის თასის პირველი მფლობელი რუსთავის ჭაბუკთა გუნდი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლატვია ევრო-2004-ზე ითამაშებს!

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფლეი-ოფის განმეორებითი შეხვედრების შედეგებით გაირკვა ის ხუთი ნაკრებიც, რომლებიც ამ ტურნირის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

ლატვიის ნაკრებმა ნამდვილი სასწაული მოახდინა. ცნობილია, რომ გუნდმა პირველი მატჩი 1-0 მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს თურქეთის ნაკრებს. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ თურქი ფეხბურთელები საკუთარ მოედანზე იოლად შეძლებდნენ ერთბურთიანი დეფიციტის „ამოქაჩვას“ და შემდგომ ეტაპზე გასვლას...



64-ე წუთისთვის თურქები 2-0 იგებდნენ (გოლები გაიტანეს ილჰანმა და ჰაქან შუქურმა), მაგრამ 66-ე წუთზე ლაიზანსმა ერთი ბურთი გაქვითა. ცხადია, თურქებს კიდევ ერთი გოლის გატანა სჭირდებოდათ (სტუმრად გატანილი გოლი ხომ უპირატესობას აძლევდა ლატვიელებს), მაგრამ შეტევაში გართულებს 78-ე წუთზე ვერპაკოვსკისის გოლი „გამოეპარათ“. დარჩენილ დროში მასპინძლები უშედეგოდ ცდილობდნენ სიტუაციის გამოსწორებას. მატჩი დასრულდა ფრედ — 2-2 და ფინალურ ეტაპზე ლატვიის ნაკრები გავიდა (ე.ი. ის გუნდი, რომელსაც პოტენციალით არასოდეს ჩამორჩებოდა საქართველოს ნაკრები).



ჰოლანდიელები თურქთა მსგავს სიტუაციაში იყვნენ — მათაც სტუმრად წააგეს 0-1, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში ადვოკაატის გუნდის უპირატესობა აშკარა იყო. ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ექვსი უპასუხო გოლი გაიტანეს შოტლანდიის ნაკრების კარში.

მოსკოვში უგოლო ფრეს შემდეგ რუსეთის ნაკრებმა ევსეევის ერთადერთი გოლის წყალობით 1-0 დაამარცხა უელსის ნაკრები და შემდგომ ეტაპზე გავიდა.

ესპანეთის ნაკრებმა სტუმრადაც არ დაინდო ნორვეგიის გუნდი. რაულმა, ვალერონმა და ეჩებერიამ სამი გოლი გაიტანეს მასპინძელთა კარში (პირველი შეხვედრა ესპანელებს მოგებული ჰქონდათ შედარებით მოკრძალებული ანგარიშით 2-1).

სლოვენიის ნაკრებმა ხორვატთა გუნდს უმასპინძლა. პირველ მატჩში ფრე დაფიქსირდა (1-1), რაც სლოვენიელებს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა, მაგრამ ხორვატებმა დიდებულად ითამაშეს და გაიმარჯვეს 1-0. ეს ერთადერთი გოლი სლოვენიელთა კარში არშომ გაიტანა 61-ე წუთზე.

ამრიგად, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების სრული სია ასეთია: პორტუგალია, საფრანგეთი, დანია, ჩეხეთი, შვედეთი, გერმანია, საბერძნეთი, ინგლისი, ბულგარეთი, იტალია, შვეიცარია, ლატვია, ჰოლანდია, ესპანეთი, ხორვატია, რუსეთი.

* * *

გაიმართა ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ფლეი-ოფის განმეორებითი მატჩები. პირველ მატჩში საკუთარ მოედანზე 1-2 დამარცხების შემდეგ შვეიცარიის ნაკრებმა სტუმრად ალმავლობით ითამაშა ჩეხეთის გუნდთან. ძირითადი დრო სტუმრებმა 2-1 მოიგეს, საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც უფრო ზუსტნი შვეიცარიელები აღმოჩნდნენ (4-3) და შემდგომ ეტაპზეც ისინი გავიდნენ.

სრულიად მოულოდნელად ბელარუსის ნაკრებმა სტუმრად 4-0 გაანადგურა პოლონეთის გუნდი (პირველი მატჩი 1-1). შემდგომ ეტაპზე გავიდა იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებიც, რომელმაც ორივე შეხვედრა ფრედ დაასრულა (სტუმრად 1-1, შინ 0-0) დანიელებთან, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გამოთიშა ასპარეზობას მეტოქე.

ესპანეთის ნაკრები სტუმრად ფრეს (1-1) დასჯერდა შვედებთან და იმის გამო, რომ წინა შეხვედრა შვედეთის გუნდს 2-0 ჰქონდა მოგებული, შემდგომ ეტაპზე ისინი გავიდნენ.

## ბრაზილიელებმა ისევ ვერ მოიგეს



მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ ტურში ბრაზილიის ნაკრებმა კვლავ ვერ გაიმარჯვა. მსოფლიო ჩემპიონები ჯერ 2-0 უგებდნენ საკუთარ მოედანზე ურუგვაის ნაკრებს (მე-20 და 29-ე წუთებზე თავი გამოიჩინეს კაკამ და რონალდომ), მაგრამ მეორე ტაიმში დიეგო ფორლანმა ორჯერ აიღო მასპინძელთა კარი, 79-ე წუთზე, ჟილბერტუ სილვას ავტოგოლის შემდეგ კი ურუგვაის ნაკრები დაწინაურდა... მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე რონალდომ მოახერხა კიდევ ერთი გოლის გატანა და მატჩიც ფრედ — 3-3 დასრულდა.

კოლუმბიელებმა და არგენტინელებმა ფრედ (1-1) ითამაშეს. გოლი არ გასულა ეკვადორისა და პერუს ნაკრებთა შეხვედრაში. ჩილეს გუნდი კი საკუთარ მოედანზე 0-1 დამარცხდა პარაგვაის ნაკრებთან.

დღეისათვის სატურნირო მდგომარეობა სამხრეთ ამერიკის ზონაში ასე გამოიყურება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| არგენტინა | 4 | 2 | 2 | 0 | 9-3 | 8 |
| ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7-5 | 8 |
| ურუგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 11-8 | 7 |
| ვენესუელა | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| პერუ | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| ეკვადორი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| ჩილე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| ბოლივია | 4 | 1 | 0 | 3 | 5-10 | 3 |
| კოლუმბია | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

## ბელამი: „დავბრუნდები მაშინ, როცა მზად ვიქნები“

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლის“ თავდამსხმელმა კრეიგ ბელამიმ განაცხადა, რომ არ ეცდება იჩქაროს დაბრუნება მოედანზე ტრავმის შემდეგ. „რამდენჯერმე გამოვედი მოედანზე ისე, რომ სრულად მომზადებული არ ვიყავი და მწარე გაკვეთილიც მივიღე. ახლა მე დავბრუნდები მაშინ, როცა ტრავმას სრულად მოვიშუშებ და ვიგრძნობ, რომ ფეხბურთის სათამაშოდ მზად ვარ“, - ამბობს ბელამი.

„ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელი ბობი რობსონი არც აჩქარებს ბელამის, რადგან მას სერიოზული ტრავმა აწუხებს. ექიმების ვარაუდით, ფეხბურთელი თამაშს მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ შეძლებს.

## რობსონი „ბრედფორდს“ უხელმძღვანელებს?

ბრაიან რობსონი ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ბრედფორდის“ მთავარი მწვრთნელის პოსტის კანდიდატად მოიაზრება. საინტერესოა, რომ ბრაიან რობსონს ამას წინათ ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ვერ გამონახა ფინანსური საშუალებები, რათა რობსონისათვის ანაზღაურება უზრუნველეყო.

„მქონდა მოლაპარაკებები „ბრედფორდის“ ხელმძღვანელობასთან, თუმცა ჯერჯერობით მათგან არანაირი პასუხი არ მიმიღია.“ – განაცხადა რობსონმა. მისი საკითხი დღეს უნდა გაირკვეს.

## „ატლეტიკო“ ტორესთან მოლაპარაკებებს მართავს

მადრიდის „ატლეტიკოს“ სპორტულმა დირექტორმა ტონი მუნიესმა დაადასტურა, რომ დაიწყო მოლაპარაკება კლუბის ხელმძღვანელობასა და 19 წლის ფერნანდო ტორესს შორის, რომელიც „ატლეტიკოს“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანია. მოლაპარაკებათა მთავარი თემა კონტრაქტის გაგრძელებაა.

„ტორესი ჩვენი კლუბის მომავალია, რაც უფრო მალე მოვაწერთ მასთან ხელს კონტრაქტს, მით უფრო უკეთესი იქნება „ატლეტიკოსათვის“, – განაცხადა მუნიესმა.

## „ვალენსია“ ვიდუკას კონტრაქტს სთავაზობს

ესპანური საფეხბურთო კლუბი „ვალენსია“ მოლაპარაკებებს აწარმოებს „ლიდს იუნაიტედის“ თავდამსხმელთან მარკ ვიდუკასთან და სთავაზობს კონტრაქტს, რომლის პირობების მიხედვით, ფეხბურთელი ყოველწლიურად 2 მილიონ დოლარს მიიღებს. ვიდუკას ბედი იანვარში გაირკვევა.

## „ბოკა ხუნიორსმა“ საკუთარი არხი გახსნა

ბუენოს აირესში მოეწყო ახალი საკაბელო ტელევიზიის პრეზენტაცია, რომელიც არგენტინული საფეხბურთო კლუბ „ბოკა ხუნიორსს“ ეკუთვნის. ტელეარხს ეწოდება „ბოკა-ტვ“. ასე რომ, „ბოკა ხუნიორსი“ პირველი კლუბია სამხრეთ ამერიკაში, რომელიც ფლობს პროპაგანდის ისეთ საშუალებას, როგორიცაა ტელევიზია. „ბოკა-ტვ“ მაყურებლებს აუწყებს გუნდის სიახლეებს, უჩვენებს მატჩებს „ბოკა ხუნიორსის“ მონაწილეობით. იქნება შეხვედრები სტუდიაში მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან.

უნდა ითქვას, რომ ტელეარხი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფეხბურთით. გააშუქებენ ამბებს „ბოკა ხუნიორსის“ საკალათბურთო და ფრენბურთელთა კლუბების შესახებ.

## აბიატი: «მე ჯერ არ მივდივარ»

მიუხედავად იმისა, რომ გოლკიპერი კრისტიან აბიატი ბოლო პერიოდში ვერ ხვდება „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში, მაინც არ აპირებს ამ გუნდის დატოვებას.

საინტერესოა, რომ იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ აბიატი გამოიძახა რუმინელებთან ამხანაგური მატჩისათვის. „მილანის“ სათადარიგო მეკარემ მართლაც რომ დიდებულად ითამაშა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ისმის კითხვა – რატომ ანიჭებს „მილანის“ ხელმძღვანელობა უპირატესობას დიდას და არა აბიატის?



„მინდა მადლობა გადავუხადო ტრაპატონის იტალიის ნაკრებში გამოძახებისათვის. ის მენდო, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად ვთამაშობ „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში. მართალია, რთულ სიტუაციაში ვარ, თუმცა მე ყოველდღიურად მაქსიმალურად ვარ დატვირთული – თავგამოდებით ვვარჯიშობ და ვინარჩუნებ სპორტულ ფორმას. ეს კიდევ ერთხელ დავამტკიცე რუმინეთის ნაკრებთან მატჩში.

ვფიქრობ, „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა ანჩელოტიმ კარგად იცის, თუ ვინ შეიყვანოს გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მე არასოდეს მიფიქრია პრობლემები შემექმნა „მილანის“ ხელმძღვანელობის ან თანაგუნდელებისათვის. ჩემთვის მთავარი ჯილდო იტალიის ნაკრებში გამოძახებაა. და კიდევ ერთი, მე „მილანიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებ“, – აცხადებს აბიატი.

## „არსენალი“ და „ლივერპული“ „მონაკოს“ ნახევარმცველით დაინტერესდნენ

საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „მონაკოს“ შემადგენლობაში, წლევანდელ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს ნახევარმცველი ჯერი როტენი. მისით უკვე რამდენიმე ევროპული კლუბი დაინტერესდა, მათ შორის „არსენალი“ და „ლივერპული“, აგრეთვე „იუვენტუსი“ და „ინტერი“. თვით ფეხბურთელს დიდი სურვილი აქვს, თავისი კარიერა პრემიერლიგაში გააგრძელოს.

„ვიცი, რომ დევიდ ბექჰემს მადარებენ. ვფიქრობ, წარმატებით შევძლებ თამაშს ინგლისში, ძალიან მიზიდავს პრემიერლიგა“, — ამბობს როტენი.

## აგური ტუნისის ფეხბურთის ფედერაციის შენობისათვის



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ნიგერიაში ჩავიდა, სადაც დაესწრო ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ახალი შტაბ-ბინის მშენებლობის საზეიმო დაწყებას. შენობის საძირკველზე პირველი აგური სწორედ ბლატერმა დადო. ფიფამ ნიგერიის მხარეს მშენებლობისათვის 600 ათას დოლარი ჯერ კიდევ შარშან გამოყო.

ვარაუდობენ, რომ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის ახალი შტაბ-ბინა 18 თვეში იქნება მზად.

## ფილიპო ინძაგი: „სკუდეტოსათვის“ იბრძოლებენ „მილანი“ და „იუვენტუსი“



„მილანის“ თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ ყოველკვირეულ გამოცემა „კონტროკამპოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში „სკუდეტოსთვის“ იბრძოლებენ მისი გუნდი და „იუვენტუსი“.

— „მართალია, „ინტერსა“ და „რომასაც“ აქვთ მიზნად ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, მაგრამ ძირითადი ბრძოლა მაინც ჩვენსა და „ბებერ ქალბატონს“ შორის გაიმართება“. — თქვა ინძაგიმ. მანვე საკუთარი აზრი გამოთქვა „ოქროს ბურთის“ წლევანდელი კანდიდატების შესახებ.

„მე არ გამიკეთებია რაიმე განსაკუთრებული, რომ ჟიურიმ „ოქროს ბურთი“ მომანიჭოს. ჩემი აზრით, ეს ჯილდო ეკუთვნის პაოლო მალდინის, იმიტომ, რომ ის ექსტრაორდინარული ფეხბურთელია“, — ამბობს ინძაგი. საინტერესოა, რომ ამავე აზრს გამოთქვამს „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად ინტერში მოთამაშე კოკო.

„ვთვლი, რომ პაოლო მალდინის კონკურენტი არ ჰყავს. ის „ოქროს ბურთს“ ნამდვილად იმსახურებს. მან წელს „მილანი“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამდე მიიყვანა, მის წლევანდელ ანგარიშშია ევროპის სუპერთასი და ალბათ, ამ ჯილდოებს საკონტინენტთაშორისო თასსაც მიუმატებს. ფეხბურთი მხოლოდ თავდასხმა არ არის, თავდაცვასაც აქვს დიდი მნიშვნელობა. თუკი ვისაუბრებთ ფრანკო ბარეზის ან რობერტო კარლოსის შესახებ, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ მათ წელს მიიღონ „ოქროს ბურთი“, — განაცხადა კოკომ.

# ნბა

## ცქიტიშვილის საუკეთესო მატჩი



ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" მესამე მარცხი განიცადა, — სტუმრად ვერაფერი მოუხერხა „დეტროიტს" — 96:106. სტუმართა გუნდიდან აქტიურნი იყვნენ შაკილ ო'ნილი და მელოუნი, რომლებმაც 20-20 ქულა მოაგროვეს. „დეტროიტის" გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბილაპსმა, რომლის ანგარიშზეც 24 ქულაა.

ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ბრწყინვალედ ითამაშა „დენვერის" შემადგენლობაში „მინესოტას" წინააღმდეგ. ქართველმა კალათბურთელმა თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა — 14, თუმცა, მისმა აქტიურობამ ვერ უშველა „დენვერს", — ეს გუნდი დამარცხდა 76:89 და ამაში ლომის წილი შეიტანა გარნეტმა, რომელმაც „მინესოტას" 26 ქულა შესძინა.

**გაგაცნობთ ბოლო დღეებში გამართული მატჩების შედეგებს:** „ბოსტონი" — „ნიუ ორლეანი" 73:81, „ვაშინგტონი" — „კლივლენდი" 106:95, „ინდიანა" — „კლიპერსი" 91:78, „ტორონტო" — „ფილადელფია" 75:81. „კლივლენდი" — „კლიპერსი" 103:95, „ნიუ ჯერსი" — „ნიუ ორლეანი" 85:88, „მილუოკი" — „ატლანტა" 93:101, „სან ანტონიო" — „გოლდენ სტეიტი" 94:81, „ფინიქსი" — „ჩიკაგო" 95:82, „სიეტლი" — „მაიამი" 98:105, „დენვერი" — „მილუოკი" 94:86, „ნიუ-იორკი" — „ლეიკერსი" · 104.

## „ორლანდომ" მწვრთნელი გამოიცვალა

ნბა-ს მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყო ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ". დღემდე ჩატარებულ 10 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გამარჯვების მოპოვება შეძლო. ამის გამო, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა დოკ რივერსი. მისი ადგილი ჯონ დევისმა დაიკავა.

## კანადელებმა „გრან-პრი" გადაარჩინეს

კანადის „გრან-პრის" ორგანიზატორებმა გამონახეს ფინანსური საშუალებები იმისათვის, რომ „ფორმულა-1"-ის ამ ეტაპს უმასპინძლონ მომავალი წლის 13 ივნისს.

ცნობილია, რომ კანადის „გრან-პრის" ჩატარება სათუო გახდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ხელისუფლებამ აკრძალა თამბაქოს რეკლამა, — „ფორმულა-1"-ის გუნდების უმრავლესობის პილოტებს კი თამბაქოს რეკლამები ამშვენებთ. ეს აკრძალვა ნიშნავდა იმას, რომ „ფორმულა-1"-ის მონაწილეებს კანადაში არ დაუშვებდნენ თამბაქოს რეკლამით. „გრან-პრის" ორგანიზატორებს კი ერთადერთი გზა დარჩათ — უნდა გადაეხადათ საკომპენსაციო თანხა „ფორმულა-1"-ის გუნდებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ ბოლიდებიდან დროებით მოეხსნათ თამბაქოს რეკლამა. საკომპენსაციო თანხის ოდენობა თავდაპირველად 34,6 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ „ფორმულა-1"-ის ხელმძღვანელმა ბერნი ეკლსტოუნმა შეღავათი გაუწია კანადის „გრან-პრის" ორგანიზატორებს და საკომპენსაციო თანხა 22,3 მილიონი დოლარით განისაზღვრა.

— „ფორმულა-1" მიესალმება კანადის „გრან-პრის" დაბრუნებას მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარში", — განაცადა ეკლსტოუნმა.

## „უილიამსი" მონტოიას შემცვლელს ეძებს



ცნობილია, რომ კოლუმბიელი პილოტი ხუან პაბლო მონტოია, რომელიც ამჟამად „ფორმულა-1"-ის გუნდ „უილიამსის" ღირსებას იცავს, 2005 წლიდან „მაკლარენის" ბოლიდის საჭეს მიუჯდება. იქამდე ერთი სეზონია, თუმცა „უილიამსი" უკვე ეძებს მონტოიას შემცვლელს. ამ გუნდის ხელმძღვანელები ფრენკ უილიამსი და პატრიკ ჰედი არ მალავენ უკმაყოფილებას „მაკლარენის" მიმართ, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა მონტოიას გადასაბირებლად. მონტოიამაც, მიუხედავად იმისა, რომ „უილიამსთან" კონტრაქტი ჯერ არ დაუსრულებია, ვადამდე მოაწერა ხელი ხელშეკრულებას „მაკლარენთან". სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთი ნაბიჯი ზიანის მეტს არაფერს მოუტანს მონტოიას.

— „უილიამსი", რომ იტყვიან, სულელურ სიტუაციაში ჩავარდა. აბა, რად გვინდა, გუნდში გვყავდეს პილოტი, რომელსაც სხვა გუნდთან ექნება კონტრაქტი დადებული. ჩვენ ვეძებთ მონტოიას შემცვლელს. „უილიამსის" გეგმები 2004 წლისათვის უცვლელი დარჩება — ვიბრძოლებთ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად," — განაცხადა ჰედმა.

აქვე მან დაასახელა მონტოიას შესაძლო შემცვლელები: მარკ უებერი, ჯანკარლო ფიზიკელა ან რუბენს ბარიკელო.

## „იაგუარი" ახალ ბოლიდს 18 იანვარს წარმოადგენს

„ფორმულა-1"-ის გუნდი „იაგუარი" 2004 წლის 18 იანვარს მოახდენს ახალი ბოლიდის პრეზენტაციას, რომელსაც ეწოდება „P5". პრეზენტაცია შედგება ბარსელონას მახლობლად, — „კატალუნიას" ტრასაზე. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, თუ ვინ დაიცავს „იაგუარის" ღირსებას 2004 წლის სეზონში. ვარაუდობენ, რომ . ერთ-ერთი მათგანი მარკ უებერი იქნება.

## კასპაროვი მანქანასთან ყაიმს დასჯერდა

ფრედ — 2:2 დასრულდა მეტად საინტერესო საჭადრაკო მატჩი გარი კასპაროვსა და კომპიუტერ „ფრიტც 8"-ს შორის. სპეციალისტები მოელოდნენ, რომ მატჩის ბოლო, მეოთხე პარტია ყაიმით დასრულდებოდა და ასეც მოხდა.

„მანქანები დროთა განმავლობაში უფრო ძლიერები ხდებიან, — აღიარა გარი კასპაროვმა, თუმცა, ჩვენ, მოჭადრაკეებიც არ ვტკეპნით ერთ ადგილს და ვსწავლობთ. ყველაზე მთავარი მოწინააღმდეგის შესაძლებლობების შესწავლა და მათი თამაშის ხასიათში ღრმად ჩაწვდომაა. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს კომპიუტერებზე. მე ახლა უფრო უკეთ ვიცნობ კომპიუტერებს, ვიდრე 6 წლის წინ.



საინტერესოა, რომ კასპაროვი 0,5:1,5 აგებდა, მაგრამ მესამე პარტიის მოგებით ანგარიში გაათანაბრა. მეოთხე პარტიაში აშკარად ჩანდა, რომ გარი რისკზე არ მიდიოდა და მშვიდობიანი ყაიმი არჩია..

აქვე გეტყვით, რომ ადამიანსა და კომპიუტერს შორის გამართული მატჩების ისტორიაში ეს უკვე მესამე ფრეა. შარშან კრამნიკმა 4:4 დაასრულა მატჩი „ფრიტცის" სხვა ვერსიასთან. ხოლო ამა წლის თებერვალში კასპაროვი „დიპ ჯუნიორს" ეთამაშა და შეხვედრა დასრულდა ფრედ — 3:3.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**21 ნოემბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია.** ევრიკა. „სპორტის სამყარო" (19.30). **მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი" (14.50). **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი" (0.30), ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიმოხილვა (17.20). ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ესპანეთის ჩემპიონატი. „რეალი" — „რასინგი" (15.05), ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ფულემი" (17.30). „მილანი" — იუვენტუსი" (23.35), ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.25, 1.50). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები — 94 კგ. ქალები — 75 კგ (21.05), „ფუტბოლ მუნდიალი" (22.35), ნბა-ს ლეგენდები: პიტ მარავიჩი (4.00), მიმოხილვა (5.00), ჩემპიონატის მატჩი (6.00), ლეგენდები: ჯეიმს უართი (9.00). ***НТВ плюс спорт.*** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები — 94 კგ. ქალები — 75 კგ (8.00, 9.45). ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (11.45). ჩოგბურთი. „ატპ"-ის მიმოხილვა (14.15), ტაილანდური კრივი (14.40), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.00). „ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიონალებზე (0.15). ტაილანდური კრივი (2.15). **EUROSPORT.** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 17.00, 21.00), ფეხბურთი. ევრო-2004 (14.30), აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.00), ბოდიბილდინგი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.00). სუმო. სუმოს გრანდ-ტურნირი (2.15).

**22 ნოემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00), **იმედი.** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.30). რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (1.20). ***НТВ плюс футбол.*** „ფუტბოლ მუნდიალი" (13.45), სათხილამურო რბოლები. მსოფლიო თასის ეტაპი (14.25, 17.15), „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (18.30, 2.20). ინგლისის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.55, 22.40), გერმანიის ჩემპიონატი (20.55), ესპანეთის ჩემპიონატი (0.25 — პირდაპირი ტრანსლაცია). კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 5.00 — მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია, 7.30), „ნბა-ს დიდი მატჩები". 1972 წ. (8.00). ***НТВ плюс спорт.*** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები 105 კგ. (8.00), ქალები, +75 კგ (9.45), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (11.20), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (13.55), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (17.30), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (0.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. +105 კგ. პირდაპირი ტრანსლაცია (1.00). **EUROSPORT.** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 17.00, 1.00), ბობსლეი. მსოფლიო თასი (20.00, 22.00), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (21.00, 23.45), სუმო (3.45).

**23 ნოემბერი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი" (18.00), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (23.30, 0.30 პირდაპირი რეპორტაჟი). რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (1.20). **მზერა.** ფეხბურთი „მზეზე" (12.00). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (11.00, 20.25), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (12.55). ფეხბურთი: ჰოლანდიის ჩემპიონატი. „აია-... ნი". პირდაპირი ტრანსლაცია (15.25), იტალიის ჩემპიონატი პირდაპირი ტრანსლაცია (17.55, 23.25), ესპანეთის ჩემპიონატი (1.35), კალათბურთი. ნბა (4.00, 6.00, 6.30 — პირდაპირი ტრანსლაცია, მიმოხილვა — 9.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (11.20), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (13.55), „საჭადრაკო მიმოხილვა" (19.15), სათხილამურო რბოლები. მსოფლიო თასის ეტაპი. ქალები. ვაჟები (19.45), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი. საჩვენებელი გამოსვლები (22.30). სამთოსათხილამურო სპორტი. ვაჟები. სლალომი (0.45), ტაილანდური კრივი (1.45). **EUROSPORT.** ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 16.30, 22.45), სათხილამურო რბოლები. მსოფლიო თასი (13.00, 14.30). სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (21.00, 23.45). კრივი. პროფესიონალები (1.00).

**საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოკრივე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**ივანე (ვანო) ხატიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: პარასკევს 16 საათზე.
გამოსვენება შაბათს 14 საათზე.
მისამართი: დ-დიღომი, III მიკრორაიონი, კორპ. XV, V სადარბაზო.

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია და სს საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა-ვერეს" თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ საქართველოს განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების, აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს დავით ბერძენიშვილს დედის გარდაცვალების გამო.**

**შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ღრმა მწუხარებაში პროფესორ გია იაშვილს დედის გარდაცვალების გამო.**




## კროსვორდი № 90

**თარაზულად:** 7. საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" მეკარე, 9. პარაგვაელი ფეხბურთელი, 1998 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 10. „ლივერპულის" ფორვარდი, 11. მარადონას სახელი, 12. ოლიმპიური თამაშების ჩასახვის ქვეყნის ძველი სახელწოდება, 14. ცნობილი სურინამელი ფეხბურთელი, 15. სამაგიდო თამაში, 17. მთათა მასივი აღმოსავლეთ ციმბირში, სპორტული ცენტრი, 18. ნარნარი ფრენა, 21. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 22. ვეტერანი ქართველი მორაგბე, 25. ქართული ჩოგბურთის ვარსკვლავი-ვეტერანი, 26. ჩოგბურთელ ნასტასეს სახელი.

**შვეულად:** 1. საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში ერთი გვარით მოთამაშე რამდენიმე კალათბურთელი, 2. საქართველოს საფეხბურთო გუნდი, 3. ფანდი ანუ ... 4. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 5. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 7. ტურისტის თავშესაფარი, 8. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 13. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე — თავადი, 16. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი — ვეტერანი, 18. ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი, 19. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, 20. პარტია ჩოგბურთში, 21. მოჭადრაკე ფიშერის სახელი, რობერტ ანუ ... 23. კონტინენტი, 24. ტერმინი კარატეში.

**შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ**

### №89 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ორმო, 7. ალთაბაევი, 9. ფარი, 10 შანიძე, 11. სანტე, 12. „ალია", 15. პა, 16. „პორტუ", 18. ეპვი, 20 დანი, 21. ძალა, 22. ადლერი, 23 პანი, 24. კოლინა, 25. შაიბა.

**შვეულად:** 1. „ალთა", 2. კალინინი, 3. სალო, 4. კვაშალი, 6. მანძილი, 8. ონი, 9. ფცე, 11 სამჭედლო, 13. ლოზანა, 14. „არმინია", 17. ტალი, 19 ილემი, 21. ძიძა, 23 პაი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




შამათი 3 სვლაში

№ 89-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლc2!
1. ..... მფ:d7 2. ლc8X, 1. ..... მფ:d5 2. ლc4X, 1. ..... მფ:f7 2. ლg6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com